პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 პარასკევი 24 ივნისი № 147 (16887) ფასი 2 კაპ. 1977

მუშა დეპუტატები

ადგილობრივი საბჭოებიო არჩევნების დროს ხალხის რჩეულნი, მათი დეპუტატები გახდნენ მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები.

სურათზე: რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატების ერთი ჯგუფი რუსთავის მეტალურგიული ქარხნიდან (მარცხნიდან): მილსაგლინავი საამქროს ფაბრიკატორი ნუნუ ჩიკვილაძე, დგან 400-ის უფროსი მვალცავი ბორის მილიუშკოვი, შემკეთებელ-მექანიკური საამქროს ბრიგადირი ივანე კოპლამაზაშვილი, ფასონური ჩამოსხმის საამქროს მებოყვე გიორგი უჟარაშვილი, საბრძმედე საამქროს დამკომპლექტებელი ზინაიდა კოსტომბრიზოვა.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

ცნობა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შედეგების შესახებ

მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისაგან და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისაგან.

1977 წლის 19 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები.

რესპუბლიკაში არჩევნებმა ჩაიარა ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევის საყოველთაო მოწონების ვითარებაში.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა ერთხელ კიდევ ახალი ძალით ცხადყო საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ზეიმი, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური შეკავშირება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მათი მზადყოფნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ხახელოვანი 60 წლისთავი აღნიშნონ სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და 1977 წელს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების წარმატებული შეასრულებით.

ხმის მიცემა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა სადამის 10 საათზე.

ამომრჩეველთა ერთსულოვანი გამოცხადება, მათი მაღალი პოლიტიკური აქტიურობა, ხმის მიცემის შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ცხოველმყოფელ ძალას, იმას, რომ რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

ათასობით წარწერა ბიულეტენებზე, რომლებიც იწონებენ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ, ნაყოფიერ მუშაობას კომუნიზმის გამარჯვებისათვის, ნათლად გამოხატავენ რესპუბლიკის ყველა ამომრჩევლის, საქართველოს ყველა მშრომელის გრძნობებსა და მისწრაფებებს.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად არჩეული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, სხვადასხვა ასაკისა და ეროვნების ადამიანები, რომლებიც შრომითს კოლექტივებში დიდი ნდობითა და სიყვარულით სარგებლობენ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში მთლიანად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების სიაში შეტანილი იყო 3.018.452 კაცი, აქედან ხმის მიცემაში მონაწილეობდა 3.018.402 ამომრჩეველი, ანუ 99,99 პროცენტი.

არჩეული არიან სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების 65 რაიონული საბჭოს, 51 საქალაქო საბჭოს, თბილისის 8 რაიონული საბჭოს, 923 სასოფლო საბჭოსა და 56 სადაბო საბჭოს დეპუტატები.

საოლქო, რაიონულ, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან მონაწილეობდნენ:

საოლქო საბჭოს არჩევნებში — 58.422, ანუ 99,99 პროცენტი;

რაიონული საბჭოებისა — 1.767.700, ანუ 99,99 პროცენტი;

საქალაქო საბჭოებისა — 1.554.124, ანუ 99,99 პროცენტი;

თბილისის რაიონული საბჭოებისა — 652.658, ანუ 99,99 პროცენტი;

სასოფლო საბჭოებისა — 1.410.730, ანუ 99,99 პროცენტი;

სადაბო საბჭოებისა — 157.330, ანუ 99,99 პროცენტი.

ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცეს ამომრჩეველმა:

საოლქო საბჭოს არჩევნებში — 58.412, ანუ 99,98 პროცენტმა;

რაიონული საბჭოებისა — 1.767.425, ანუ 99,98 პროცენტმა;

საქალაქო საბჭოებისა — 1.558.982, ანუ 99,99 პროცენტმა;

თბილისის რაიონული საბჭოებისა — 652.616, ანუ 99,99 პროცენტმა;

სასოფლო საბჭოებისა — 1.410.574, ანუ 99,99 პროცენტმა;

სადაბო საბჭოებისა — 157.274, ანუ 99,96 პროცენტმა.

დეპუტატობის კანდიდატთა წინააღმდეგ ხმა მისცა (ხმის მიცემაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან):

საოლქო საბჭოს არჩევნებში — 10, ანუ 0,02 პროცენტმა;

რაიონული საბჭოებისა — 274, ანუ 0,02 პროცენტმა;

საქალაქო საბჭოებისა — 191, ანუ 0,01 პროცენტმა;

თბილისის რაიონული საბჭოებისა — 42, ანუ 0,01 პროცენტმა;

სასოფლო საბჭოებისა — 156, ანუ 0,01 პროცენტმა;

სადაბო საბჭოებისა — 56, ანუ 0,4 პროცენტმა.

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად არჩეული არიან მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები.

სულ ადგილობრივ საბჭოებში არჩეულია 49.371 დეპუტატი.

მათ შორის: 21.307 ანუ 43,2 პროცენტი სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატი, 28.064, ანუ 56,8 პროცენტი უპარტიო, 33.303, ანუ 67,5 პროცენტი მუშა და კოლმეურნე, 23.963, ანუ 48,5 პროცენტი ქალი, 15.203 დეპუტატი, ანუ 30,8 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა. 28.054 დეპუტატი, ანუ 56,8 პროცენტი არ ყოფილა წინა მოწვევის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი.

სადაბო საბჭოების არჩევნების ერთ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატს არ მიუღია ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და არჩეული არ ყოფილა.

ამ ოლქში გაიმართება დამატებითი არჩევნები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვს დაბრუნდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი 22 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიწვევით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი 22 ივნისს დაბრუნდა მოსკოვში საფრანგეთიდან, სადაც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიწვევით. სურათზე: აეროდრომზე შეხვედრის დროს. ლ. ი. ბრეჟნევი 22 საკმეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ლ. ი. ბრეჟნევი ეწვია პარიზის მერიას

პარიზი. 21 ივნისი. (საკადესის სპეც. კორ.) სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი 22 ივნისს მოსკოვში დაბრუნდა საფრანგეთიდან, სადაც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიწვევით.

ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი ბ. პ. ბუგაევი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ა. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, საკადესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გ. კოვალიოვი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ენუკოვის აეროდრომზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრომინი, ა. ბ. კირილენკო, კ. ტ. მაზუროვი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, კ. უ. ჩერნენკო, ი. პ. რიაბოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები ა. პ. ვადერი, ვ. ვ. კუზნეცოვი, გ. ს. პავლოვი, ნ. მ. პეგოვი, ა. პ. შიტიკოვი, ნ. ა. შჩოლოკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები მ. პ. გიორგაძე, ს. კ. ცვიგუნი, გ. კ. ცინევი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ი. მ. ჩერბანოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ვ. ა. გოლიკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი ვ. ი. ვასილიევი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჟ. დიუპონი. (საკადესი).

23 ივნისი

„პრავდის“ ფურცლებზე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტი საფრანგეთში წარმატებით დამთავრდა. ვიზიტის შედეგად ხელმოწერილი დოკუმენტები ახალი მნიშვნელოვანი წვლილი იქნება სსრ კავშირისა და საფრანგეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებაში, ევროპისა და საერთოდ საერთაშორისო სარბიელზე მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

გაზეთის პირველი და მეორე გვერდები სსრ კავშირ-საფრანგეთის დოკუმენტებს უპირავთ.

მესამე გვერდი ჩვეულებრივ დათმობილი აქვს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვას („ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი“).

19 ივნისს „პრავდაში“ გამოქვეყნდა ლენინგრადის გაერთიანება „სვეტლანას“ საამქროს უფროსის ვ. ხუეკის წერილი „თითოეული მოვალეა“, რომელიც შეეხებოდა იმას, რომ საბჭოთა ადამიანები მოვალენი არიან კეთილსინდისიერად შრომობდნენ, მტკიცედ დაიცვან შრომისა და საწარმოო დისციპლინა. ამის გამო რუბრიკით „განვაგრძობთ საუბარს“ გამოქვეყნებულია ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომძიებელი მძღოლის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ბ. ვაშაკიძის წერილი „აღვკვეთოთ ფრენები“. იგი წერს:

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან უსაქმურები, სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრების მოყვარულნი. ეს ეწინააღმდეგება ჩვენი ცხოვრების ნორმებს, კონსტიტუციის პროექტის სულისკვეთებას. არ შეიძლება მშვიდად იყო, როცა შენ გვერდით ანტისოციალური ელემენტები არიან.

მართალია ვ. ხუეკი: ერთ-ერთ მწვავე პრობლემად კვლავ რჩება კადრების დენადობა, რომელიც ხელს უშლის ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს და სამშენებლო ობიექტის ზუსტ და რიტმულ მუშაობას. პირდაპირ ვეტყვი, რომ ეს ბევრ ჩემს ამხანაგსაც აწუხებს. „ფრენიები“... ჩვენი პუმანური ჟანონებით საჩვენებელნი, „ნადირნს“ არ უწყვეტენ კოლექტივის ანტერესებს და ერთი საწარმოდან მეორეში „დაფრინავენ“. აი რატომ არის, რომ, ჩემი აზრით, დროა, კანონმდებლობითი დებულებები ალმართოთ ქარხნიდან ქარხანაში გადასვლის გზაზე. ამ საკითხების გადაჭრაში უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კოლექტივები. ეს ღონისძიებები, ცხადია, არ შელახავს პატიოსნად მშრომელის ღირსებას, რომელმაც რამდენიმე წელი იმუშავა ერთ საწარმოში და სავსებით საპატიო მიზეზების გამო სურს სხვა ადგილას გადავიდეს სამუშაოდ.

პროდუქციაში, რომელსაც ივნისის ბოსტანი იძლევა, წერს გაზეთის მეექვსე გვერდზე ა. პაეიტნევი („ახალი ბოსტნეულის დრო“), — უკანასკნელი ადგილი როდი უკავია საადრეო კარტოფილს. დიდად პოპულარულია ახალი კარტოფილისაგან დამზადებული კერძები. ახლა გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოთხოვნა ამ პროდუქტზე. საადრეო კარტოფილის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა ხაჭართველოს სს რესპუბლიკაში. გასაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბოლნისისა და მარნეულის რაიონების მშრომელებმა. რესპუბლიკის მიწათმოქმედნი ფიქრობენ დაამზადონ 125 ათას ტონამდე კარტოფილი — ეს მეტია, ვიდრე ნებისმიერ სხვა წელიწადს იყო. მარტო მოსკოვსა და ლენინგრადში 30 ათას ტონაზე მეტი კარტოფილი გაიგზავნება.

„პრავდა“

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ეს დღეები ჩვენი რესპუბლიკის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის ცხოვრებაში, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის უსაგალითო აღმავლობით აღინიშნება. სოფლის მშრომელთა მიერ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში შემდგომი წარმატებების ახალ სტიმულად იქცა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებები, ამ პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება.

რესპუბლიკის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მეურნეობათაშორისი გაერთიანებების კოლექტივების მიერ გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულების შესახებ.

გეგმის გადამეტებით

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც პრაქტიკული საქმეებით უპასუხებენ პარტიის მოწოდებას ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავი, საშობლოს უპატაკეს სახელმწიფოსადმი ებრეშუმის პარკისა და ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმების შესრულება. დამზადებულია 300 ტონაზე მეტი ებრეშუმის პარკი, რაც აღემატება გეგმისა და ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებას. კარგი მოსავალი მოიწიეს მებოსტნეებმაც. მათ საერთო-საკავშირო ფონდში გაგზავნეს 600 ტონაზე მეტი სხვადასხვა სახის ბოსტნეული — დასახულზე 400 ტონით მეტი. ბოსტნეულის დამზადების წლიური გეგმა 118 პროცენტით — შარაბადელთან შედარებით თითქმის 10 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

რაიონის მიწათმოქმედნი და მეცხოველეები, რომლებიც მთლიანად და სავსებით იწონებენ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, ახალი ძალით ებრძვიან შეჯიბრებას სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ცდილობენ ვადამდე შეასრულონ ხუთწლედის მეორე წლის გეგმები და ვალდებულებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა სხვა სახეობების მიხედვითაც.

მეჩაიეთა ნოგათი

ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენმა მეჩაიეებმა. ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის კოლეგიემ სამშობლოს ეპატიჟა ჩაის ფოთლის დამზადების ნახევარი წლის გეგმისა და ვალდებულების ვადამდე შესრულება. 20 ივნისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 36.600 ტონა ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35.710 ტონისა. ამასთან უმაღლესი და პირველი ხარისხის ჩაის ხვედრითმა წონამ შეადგინა 76 პროცენტი. მექანიზებული წესით მოიკრიფა 18.645 ტონა ფოთოლი, აქედან ჩაის საკრეფი მანქანებით „საქართველოში“ და „ჩა-900“-ით 8.400 ტონა. „მცირე მექანიზაციის“ მუშეობით დამზადდა 10.245 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი. მეჩაიეები პირობას დებენ, რომ იელსის დამლეკამდე დაავალების დამატებით დამზადებენ სულ ცოტა 4 ათას ტონა ხარისხოვან ფოთოლს. „დიდი ჩაისათვის“ გაჩაღებულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს ლაითურის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის, ნარეკვლის, გონიოს, ჩაქვის, ოჩამჩირის, ვედიდკარისა და მთელი რიგი სხვა საბჭოებზებული მეურნეობების მეჩაიეებმა.

ნოვატორთა მაგალითი

მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა ვადამდე ცხატაკეს საშობლოს მიაღწიეს ივნისის გეგმისა და კულტურულებათა შესრულება. სახელმწიფოს მიეყიდა 34.079 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 31.620 ტონისა. თითოეულ ჰექტარზე უხვი მოსავლის მიღებისათვის გაჩაღებულ შეჯიბრებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს კონკაკთის, მერიის, გურიანთისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობების მშრომელებმა.

დამკვრელური შრომის მაგალითს იძლევიან მოწინავე მეჩაიეები: სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობის წევრი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ჩხარტიშვილი, სოფელ ალაანის კოლმეურნეობის მეჩაიე ნ. თავდორაძე, სოციალისტური შრომის გმირები: ა. ტოროტაძე (სოფელ ლახურის კოლმეურნეობა), ლ. კოსეხაო (ლაითურის საბჭოთა მეურნეობა) და ლ. ქადგიშვილი (სოფელ შრომის კოლმეურნეობა).

ᲧᲚᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ — ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝᲓ

აბრეშუმის პარკის დამზადებაში მაღალ მაჩვენებლებს მიაღწევენ **ცხაკაიას რაიონის** მეურნეობებმა. მათ ვადამდე გაახალდეს სახელმწიფოსათვის ებრეშუმის მრეწველობის ნედლეულის მიყიდვის წლიური გეგმა. მათ დაამზადეს 400 ცენტნერი ებრეშუმის პარკი, ნაცვლად დაკანონებით გათვალისწინებული 385 ცენტნერისა.

ცხაკაიელებმა მოწოდებით მიმართეს სოფლის მშრომელებს ახალი წარმატებებით „ლენინონ დიდი ოქტომბრის იუბილეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში. რაიონის მეცხოველეებმა „ყონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, ამომჭედეს რაიონში არსებული ყველა რეზერვი და დიდი ამოცანებები დაიკალეს. მათ გადაწყვეტილი აქვთ უკვე 7 ნოემბრისათვის შეასრულონ სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები და ვალდებულებანი, ხოლო წლის დამლევამდე დამატებით დამზადონ 1.650 ცენტნერი ხორცი, 1.500 ცენტნერი რძე, 300 ათასი ცალი კვერცხი.

ცხაკაიელ მეცხოველეთა სიტყვა და საქმე ერთია. მათ 20 ივნისისათვის გაანაღდეს ნახევარი წლის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.448 ცენტნერით მეტი ხორცი, 580 ათასი ცალით მეტი კვერცხი.

მეაბრეშუმეთა სიტყვა და საქმე

ჯარგალ ამიუშავეს წელს ჩხოროწყუს რაიონის მეაბრეშუმეებმა. მათ წარმატებით შეასრულეს ებრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 130 ცენტნერის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 741 ცენტნერი ებრეშუმი. დიდი გადაჭარბებით შესრულეს დავალებანი სოფელ ხაბეჭის კოლმეურნეობის მეშომელებმა, ლესიჭინის, ჭოლის საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა მეურნეობებმა.

ხუთწლედის მეორე წელი წარმატებით დაიწყეს რაიონის ბაცხოველეებმაც. მათ სანიმუშოდ გამოაზამორეს პორტაკეი, ნიალ ბაჭეულნების პორტაკეი, ნიალ ბაჭეულნების ხორცი, რძის, კვერცხის დამზადებაში. სახელმწიფოს მიეყიდა 390 ტონა ხორცი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 383 ტონისა, 790 ტონა რძე, ნაცვლად დაგეგმილი 777 ტონისა, 1.040 ათასი ცალი ხორცი — გეგმაზე ერთიორად მეტი.

რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, ფართოდ გაშალეს შეჯიბრება საიუბილეო წლის ყველა გეგმისა და სოციალისტური ვალდებულების წარმატებით შესრულებისათვის.

(საქინფორმი).

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ — ᲨᲐᲒᲐᲗᲝᲒᲐᲖᲔ!

ᲮᲕᲐᲚ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲨᲐᲒᲐᲗᲝᲒᲐᲖᲔ

ახალგაზრდებო, ყველანი — შაგათოგაზე!

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 25 ივნისს მოეწყობა საკავშირო კომკავშირულ-ახალგაზრდული შაბათობა, რომლის დროს გამომუშავებული მთელი თანხა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XI მსოფლიო ფესტივალის ფონდში გადაერიცხება. ეს ფესტივალი გაისად ზაფხულში კუბის დედაქალაქ ჰავანაში გაიმართება დევიზით: „ანტიიმპერიალისტური სოლიდარობისათვის, მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“

თუ როგორ მოემზადნენ შაბათობისათვის კომკავშირული ორგანიზაციები, ჩვენი ახალგაზრდები, როგორი იქნება მათი წვლილი ამ კეთილშობილურ საქმეში, ამაზე მოგვითხრობენ ქვემოთ დაბეჭდილი მასალები.

თბილისი. როგორც შაბათობის ხელმძღვანელი საქალაქო შტაბიდან გვაცნობეს, ქალაქის ყველა საწარმო-დაწესებულებისა და ორგანიზაციის 160 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა გამოვა შაბათობაზე. ისინი ფესტივალის ფონდში 123 ათას მანეთს გადარიცხავენ. აღსანიშნავია, რომ თავიანთი უფროსი თანამოსაქმეების გვერდით იშრომებენ მათი დამრიგებლები, წარმოების ნოვატორები.

გარდა იმისა, რომ ამ დღეს ყველა კომკავშირელი და ახალგაზრდა უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე იშრომებს, შექმნილ სამრეწველო და სხვა სახეობის პროდუქციას, თბილისელი ახალგაზრდები მოაწყობენ და გააწყვანებენ საწარმო-დაწესებულებების ტერიტორიებს, ქალაქის ბაღებს, სკვერებს, ქუჩებს.

შაბათობისათვის მზადების დღეებში ბევრ პატრიოტულ ინიციატივას დაედო სათავე. მაგალითად, სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ გადაწყვიტა შაბათობაზე ორი დღის ნორმა გამოიმუშაოს. ფეხსაცმელის ფაბრიკა „იუნის“ კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა გამოიჩინეს ინიციატივა, რომელსაც დევიზია: „კომკავშირულ-ახალგაზრდული შაბათობას — უდიდესი შრომის ნაყოფიერება, საუკეთესო ხარისხის პროდუქციას“.

ზუგდიდი. ხვალ 8 ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა თავის დამრიგებლებთან, წარმოების ნოვატორებთან ერთად გამოვა შაბათობაზე. ისინი გამომიმუშავებენ და ფასტივალის ფონდში გადარიცხავენ 13 ათას მანეთს, ეკეთლმოაწყობენ და გალამაზებენ ქალაქის ბოტანიკურ ბაღს, პარკს, ქუჩებს. „ზუგდიდვაჭრობის“ კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით ამ სისტემაში მომუშავე ყველა კომკავშირელი და ქალაქის ასობით მოსწავლე ახალგაზრდა ნარეზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს მიეხმარება.

„შაბათობაზე — ორი დღის ნორმა“, ასეთი ინიციატივით გამოვიდა შაბათობისათვის მზადების პერიოდში ენგურჰესის მშენებლობის ძალოვანი კვანძის გვირაბგამყვანთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის კოლექტივი. ეს პატრიოტული ინიციატივა იოტაცეს „ენგურჰესელდგამბინატში“, ლუდისა და ბალეული წყლების კომბინატში და სხვ. — ეს „კომუნისტის“ რედაქციას „ცნობა საქართველოს ალკა ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. მალაშხიამ.

თელავი. ხვალ რაიონის 11 ათასამდე კომკავშირელი და ახალგაზრდა გამოვა შაბათობაზე. მათგან 6 ათასზე მეტი ადგილებზე — საწარმო-დაწესებულებებში იმუშავებენ და 10 ათასი მანეთის სამუშაოს შეასრულებს.

შაბათობაზე მთავარი ყურადღება, რა თქმა უნდა, ამ რამდენიმე დღის წინათ მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებს დაეთმობა. ამ მიზნით გაჭარბებულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები. რაიონის 4 ათასადგილიანი ოქროს სკოლებისა და სასწავლებლების ტერიტორიის დასუფთავება-გამწვანებაზე იმუშავეს, პედაგოგიური ინსტიტუტის 300 სტუდენტი რაიონის მეევნახეებს მიეშველება... ეფარო ბაძლიერებდან კომკავშირულ-ახალგაზრდული მაშველი რაზმები, ბრიგადები.

ეს „კომუნისტის“ რედაქციას აცნობა საქართველოს ალკა თელავის რაიონის პირველმა მდივანმა მ. ოთარაშვილმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა, სხვა პარტიულმა კომიტეტებმა თვითკრიტიკულად გააანალიზეს საქმეთა მიმართება რესპუბლიკაში, შეიმუშავეს და ახორციელებენ იმ ღონისძიებათა ფართო სისტემას, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა. წარმოეგზა მიზანდასახული მუშაობა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებიდან „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ").

ზნეობრივი აღორძინების გზით

ფსიქოლოგებს აქვთ ასეთი ტერმინი — „ამბივალენტური". იგი გაორებულ გრძნობას აღნიშნავს, რომელშიც სიამოვნება და უსიამოვნება, სიხარული და გულისტკივილი ერთმანეთშია შერწყმული.

სწორედ ასეთი გრძნობა დაეუფლა ბევრ ჩვენგანს, როცა გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შუშაობის თაობაზე, დადგენილება, რომელიც ამ მუშაობის მრავალ ნაკლს აკრიტიკებდა და ამით ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ფეხმოკიდებულ მანკიერებებს ამხელდა და გმობდა.

სასიხარულო იყო, რომ ერის სულიერი ჯანმრთელობისათვის საშიშ ვაჭრულ-მეშჩანურ სულისკვეთებას, რომელიც ჩვენში გავრცელებულ ნეგატიურ მოვლენათა მთავარი სოციალურ-ფსიქოლოგიური მიზეზი გახლდათ, პირდაპირი და აშკარა ბრძოლა გამოეცხადა. გულსატკივნი კი ის იყო, რომ ქართველი ერის ისტორიული ხასიათისა და ცხოვრების დღევანდელი წესისათვის უცხო მომხვეპელური მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საგანგებო დადგენილება გახდა საჭირო მის წინააღმდეგ ბრძოლის გასაჩაღებლად.

მაინც სიხარულის მომენტი ჭარბობდა იმ ამბივალენტურ გრძნობაში, რადგან ერის ზნეობრივი აღორძინების იმედი მიეცა ჩვენი რესპუბლიკის ყველა პატიოსან მოქალაქეს, რომელთაც გული სტკიოდათ მექრთამეთა და გამომძალველთა პარპაშის გამო და მეტადრე იმის გამო, რომ ვაჭრულ-ჩარული სულისკვეთება შეიჭრა მრეწველობაშიც და სოფლის მეურნეობაშიც, პარტიულ და ადმინისტრაციულ ორგანოებშიც, მშრომელთა სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროშიც. სწავლა-განათლების სისტემაშიც, მეცნიერებასა და ხელოვნებაშიც.

ეს იმედი გაახალგაზდა, როცა საქართველოს კომპარტიის ახალმა ხელმძღვანელობამ ფართოდ გაშალა ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის, ერის სულიერი აღორძინებისათვის.

ცხადია, ეს ბრძოლა მხოლოდ მაშინ დაგვირგვინდებოდა წარმატებით, თუ არ შემოიფარგლებოდა მარტო ადმინისტრაციული და პროპაგანდისტული ღონისძიებებით — დამნაშავეთა დასჯითა და მერყეთა მორალური შეგონებებით.

პირველ რიგში აუცილებელი იყო რესპუბლიკის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება, ამ სფეროთა შორის დარღვეული ნორმალური კავშირების აღდგენა, მოშლილი მექანიზმის აწყობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

ამოცანას ისიც ართულებდა, რომ რესპუბლიკის მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს განმაახლებელ ძალებს წინააღმდეგობას უწევდნენ არა მარტო ამ ახალი კურსის შეგნებული მტრები, არამედ რწმენადაკარგულთა სოციალურ-ფსიქოლოგიური ინერციაც. ამ რთულ პრობლემათა გადასაჭრელად მთელი რესპუბლიკის პატიოსან ადამიანთა მობილიზაცია იყო საჭირო.

ქართველი ფილოსოფოსები, ჩვენი ინტელიგენციის სხვა მოწინავე რაზმებთან ერთად, ცხადია, განზე ვერ განუდგებოდნენ ამ ბრძოლას. მით უმეტეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის შუშაობის შესახებ საგანგებო დადგენილებაში პირდაპირ მიმართა ქართველ ფილოსოფოსთა მოქალაქეობრივ სინდისს და მოსთხოვა მათ აქტიურად ჩაბმულიყვნენ ერის სულიერი აღორძინებისათვის ბრძოლაში.

„კომუნისტის" მკითხველებმა იციან, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტი ცდილობდა და ცდილობს მაქსიმალურად დაუახლოვოს თავისი შუშაობა რესპუბლიკის წინაშე მდგომ ამოცანებს, თავისი წვლილი შეიტანოს მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს სრულ გაჯანსაღებაში.

ამ მიზნით ინსტიტუტმა თავისი მეცნიერული შუშაობის სტრატეგიულ მიმართულებად ადამიანის, კულტურისა და ღირებულებების ფილოსოფიურ პრობლემათა კვლევა დასახა, რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ამ პრობლემათა ჭეშმარიტი გაგებითა და ამ ჭეშმარიტი გაგების პრაქტიკულად შეეძლებთ მაქსიმალური სარგებლობის მოტანას ჩვენი ხალხისათვის.

ეს ჩვენი არჩევანი იმითაც არის გამართლებული, რომ დღევანდელი მსოფლიოს რთულ სოციალურ პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ადამიანის ნამდვილი ბუნების, მისი სიცოცხლის აზრისა და მომავლის, მისი კულტურის, სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა მნიშვნელობისა და მომავალი ბედის პრობლემები მსოფლიოს მოწინავე ხაზოგადოებრივი აზრისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უმთავრეს პრობლემებად იქცა.

ამ პრობლემათა კვლევისას ჩვენი ხალხიც ნათლად და მკაფიოდ გადარკვეოთ (ჩვენთვისაც და ჩვენი მკითხველებისა და მსმენელებისთვისაც), თუ რა არის ადამიანი და როგორი უნდა იყოს იგი, რა არის და როგორი უნდა იყოს კულტურა (კერძოდ, რა ადგილი უნდა ეკავოს მასში ზნეობას, როგორ უნდა იყოს მასში შეხამებული ნაციონალური და ინტერნაციონალური, ტრადიციიდან მომდინარე და სადღეისო), რა და რა ღირებულებებია უპირველეს ყოვლისა ადამიანის მისწრაფებისა და პატივისცემის ღირსი. მკითხველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ ამ პრობლემებს ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრებისთვისაც არსებითი მნიშვნელობა აქვს.

ცოტა რამ ამ მიმართულებით ინსტიტუტმა უკვე გააკეთა. კერძოდ, გამოიცა წიგნები: აკადემიკოს ა. ბოჭორიშვილის „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები", პროფ. გ. ბანძელაძის „ადამიანური ღირსების ცნება მარქსისტულ ეთიკაში", დოც. რ. ბალანჩივაძის „ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა" და სხვ. დასაბეჭდად მომზადდა ქრესტომათია „ქ. მარქსი და ფ. ენგელსი ადამიანის შესახებ", მზადდება ქრესტომათია „ვ. ი. ლენინი ადამიანის შესახებ" და ა. შ.

საგრძნობლად გააქტიურდა ინსტიტუტის საზოგადოებრივ-პროპაგანდისტული საქმიანობაც. ჩვენი თანამშრომლები უფრო ხშირად გამოდიან ტელევიზიაში, რადიოსა და პრესაში, ხშირი სტუმრები გახდნენ რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებისა.

კიდევ ერთი კარგი ნაბიჯი გადადგა ინსტიტუტმა — მტკიცე შემოქმედებითი კავშირი დაამყარა აზერბაიჯანსა და სომხეთის ფილოსოფიისა და ხელოვნების ინსტიტუტებთან.

პროფესიული ინტერესების გარდა ეს ნაბიჯი იმითაც არის გამართლებული, რომ, ჩვენი აზრით, იგი ხელს შეუწყობს მოძმე ხალხების მეგობრობის განმტკიცებას და კერძოდ ჩვენს კულტურათა ისტორიის ზოგადერთი სადავო საკითხის მართებულად გადაჭრას.

სომეხ და აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად ჩვენ უკვე სამი კონფერენცია ჩავატარეთ. ამ დღეებში გამოვა მასალები ბაქოში ჩატარებული კონფერენციისა „სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციისა და განვითარების [illegible]".

ინსტიტუტი [illegible] ეს — [illegible] ამ ცდას ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში მიმდინარე გამჯანსაღებელ პროცესს, (რომელსაც ჩვენ „ზნეობრივი რევოლუცია" ვუწოდეთ, რათა ხაზი გაგვესვა მისი ხელრმალისა და მნიშვნელობისათვის), რამდენჯერმე მაღალი შეფასება მიეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ტრიბუნიდან. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს შეფასებები უფრო ავანსია, რომლის გამართლება ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია.

და აი შესრულდა ერთი წელი იმ დღიდან, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება — თუ როგორ ასრულებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შუშაობის შესახებ.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს კომპარტიის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების მიერ ჩვენში წინათ არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევაად გაწეულ შუშაობას, სერიოზულ დადებითს ძვრებს, რომლებიც მოხდა ჩვენს ხასალხო მეურნეობაში, პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებაში.

დადგენილებამ მთლიანად და სავსებით დაუჭირა მხარი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულ კურსს და ამასთანავე ნათელი და კონკრეტული ამოცანები დაუსახა რესპუბლიკას შემდგომი წარმატებების მისაღწევად. ამ ისტორიულმა დოკუმენტმა ისიც შეგვახსენა, რომ ჩვენ სწორი გზის მხოლოდ დასაწყისში ვართ, რომ წინ კიდევ ბევრი სერიოზული პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი.

ამ ერთი წლის განმავლობაში ჩვენმა რესპუბლიკამ ბევრი სასიხარულო და სასაკეთო რამის გაკეთება მოახწრო, მრავალი მოსალოდნელი და მოულოდნელი სიძნელე გადალახა. სიძნელეთა გადალახვა კი, როგორც მოგეხსენებათ, ზრდისა და წრთობის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია, სრული გამარჯვების რწმენის განმამტკიცებელია. და ჩვენ სრული უფლება გვაქვს ამ რწმენით შევცქეროდეთ მომავალს.

ნ. ჭავჭავაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ახალი კონსტიტუციის პროექტმა თავისი სითბო ჩვენს გლეხურ სახლშიც შემოიტანა და მისი წყალობით ვიგრძენით პარტიისა და მთავრობის დიდი მზრუნველობა.

განვლილ გზას რომ გავიხედავ, ბევრი რამ საგულისხმო მაგონდება. 1936 წელს, როცა ახალი კონსტიტუცია გამოვიდა განსახილველად, მაშინ ახალგაზრდა მეჩიჩე ვიყავი, ბათუმის რაიონის ურეხის კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. ახალი კონსტიტუციის პროექტი რამდენჯერმე ყურადღებით წავიკითხე. ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს მომავალს ეხებოდა. ერთხელ კიდევ რომ ჩავიკითხე, ყურადღება მიეკვლია მეოცე მუხლში შემდეგ ტექსტს: „მიწა, რომელიც კოლმეურნეობებს უჭირავთ, განუმტკიცებია მათ უვადო სარგებლობაში, ე. ი. სამუდამოდ". ჩემთვის ვიანგარიშე, ხომ არ ყოფილიყო და უფრო გასაგები ხომ არ იქნებოდა. სიტყვა „განემტკიცება" შეცვლილიყო სიტყვით „უმკვიდრდება". ვერ მოვისვენე, სანამ აზრი ზემდგომ ორგანოებს არ ვაცნობე. შეიძლება ასეთივე აზრი სხვასაც დაებადა, ყოველ შემთხვევაში, იმ კონსტიტუციაში სიტყვა „უმკვიდრდება" შეტანილ.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ზოგიდან 10 ათასი მანეთი შეკეტანე.

ჩემთვის განსაკუთრებით დაუვიწყარია 1949 წელი, იმ წელიწადს, ჩაბ ფოთლის სარეკორდო მოსავალი მოვიყვანე, რისთვისაც სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მომანიჭეს.

ამის შემდეგ ჩემი ოჯახი სიკეთითა და სრულვით ბიესო. მსუბუქი ავტომანქანაც შეეძინეთ. ახლა პენსიონერი ვარ, მაგრამ სანამ ძალა შემწევს, უქმად რა გავაჩერებს! წლეულს არჩევნების დღისათვის 2.000 კილოგრამი ჩაი მოკრეფე, სეზონის ბოლომდე ერთ ამდენს კიდევ მოკრეფ.

ახალი კონსტიტუციის პროექტმა ახალი სიხარული შემოიტანა ჩვენს ხალხში, ჩვენს სოფელში. პროექტის შინაარსი, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორია, ჩვენი ქვეყნის მმართველობაა. იგი ახალი შრომითი გამარჯვებისაკენ მოგვიწოდებს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახალი კონსტიტუცია ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ახლებურ შინაარსს შეიტანა, კიდევ უფრო განამტკიცებს მოპოვებულ გამარჯვებებს, სოფელი უფრო ძლიერი გახდება, ხელი სოფლისა და ქალაქის მშრომელთა შრომისა და ცხოვრების პირობები გათანაბრდება. ამიტომ გამბობთ — ახალი კონსტიტუცია ხალხის კეთილდღეობის კონსტიტუცია იქნება.

ხ. გორგილაძე,

ხელვაჩაურის რაიონის ურეხის კოლმეურნეობის ვეტერანი მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

გულის კარნახით

საგზოთა სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების გაძლიერებას, ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების შედგომ გაერთიანებასა და დაახლოებას.

კონსტიტუციის პროექტიდან.

ლენინიდან იზრდება და ვითარდება სახალხო მეურნეობა, ხორცელდება სოციალურ-კულტურული მშენებლობის, ქალაქისა და სოფლის ცხოვრების ერთმანეთთან დაახლოების დიადი გეგმები, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ შეიმუშავა. ახალი კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს ქალაქსა და სოფლის შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, საერთო-სახალხო კულტურის განვითარების პარალელურად ეროვნული კულტურის წინსვლას.

სოფლად სახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და კომუნალური მეურნეობის დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად, კეთილმოწყობილ დაბებად სოფლების გადასაქცევად ღონისძიებების დასახვა იმის მაჩვენებელია, რომ პარტია და მთავრობა კვლავაც შეუნელებლად იზრუნებენ ქალაქისა და სოფლის ცხოვრების დონის ერთმანეთთან დაახლოებისათვის, სოფლის კეთილმოწყობის დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების გარეგნული სახის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ახალი კონსტიტუციის პროექტის სახალხო-განხილვასა და მოწონების დღეებს დაემთხვა, იმის მაჩვენებელია, რომ პარტია და მთავრობა მზრუნველობას არ იჩენენ არა მარტო ქალაქების განაშენიანების, არამედ ზრდადან აგრეთვე რაიონული ცენტრებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების გარეგნული, მათი არქიტექტურულ-მხატვრული სახის გალამაზება-დამშვენებისათვის.

სიამაყის გრძნობას გვგვრის კონსტიტუციის პროექტის დებულება იმის შესახებ, რომ სოფლები გარდაიქმნება კეთილმოწყობილ დაბებად. ჩვენი აზრით, კარგი იქნება, თუ პროექტის 22 მუხლს დამატება წინადადება სოფლების კეთილმოწყობილ დაბებად გადაქცევის პასუხისმგებლობა დაეკისროთ რაიაღასკომებს, სასოფლო საბჭოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, მათში შემავალი სოფლების მცირე არქიტექტურული, თორმის მიცემის უზრუნველყოფისათვის. ეს უფრო გაზრდის მათს პასუხისმგებლობას და სოფლების გარდაქმნის საქმეშიათა შესრულება აღარ გაჭიანურდება.

სოფლების მცირე არქიტექტურული ფორმის მიცემის, სასოფლო დასახლებული პუნქტებიდან ქარმიდამოების დაგეგმარების გენერალური გეგმებისა და პროექტების შედგენის შესახებ პრესაში ბევრი წერილი დაბეჭდა. თითქოს განხორციელდა ღონისძიებანი გერეკანაში, ქარელის და სხვა რაიონებში. მაგრამ მთელი რიგი სოფლები მაინც მოკლებულია კეთილმოწყობის სიკეთეს. გზები და ქუჩები ისევ ვიწროა, არ არის მოწყობილი ტროტუარები. მანქანებისა და ეთვალი მოსიარულეთა გზა ერთმანეთისაგან ან არის გამოყოფილი, სასოფლო საბჭოებს და რაიაღმასკომებს ამ მხრივ არსებითი მუშაობა არ გაუწევიათ. სოფლები ისევ კეთილმოუწყობელია.

გულსატკივნია ისიც, რომ „საქსოფლმშენსახპროექტში" დამუშავებული საცხოვრებელი სახლების ტიპურ პროექტებს სოფლის მოსახლეობა არ იყენებს, ეს იმიტომ, რომ მათში ჩაქსოვილი არ არის ეროვნული, ტრადიციული სახლის ტიპის ის ელემენტები, რომლებიც ცხოვრებამ წარმოშვა, სოფლისათვის დამახასიათებელია და დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ამისათვის, რომ განხორციელდეს ახალი კონსტიტუციის პროექტის 22 მუხლის მოთხოვნები და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება სოფლების გარეგანი სახის მიცემის შესახებ, საჭიროდ მიგვაჩნია რაიონმასკომებში შეიქმნას სოფლის კეთილმოწყობის მეთვალყურეობის ჯგუფები. რომლებიც სასოფლო საბჭოსთან ერთად მაკარ კონტროლს დაუწესებენ და უპროექტო მშენებლობას სოფლად ნებას არ დართავენ, ყურადღებას მიაქცევენ ბაღებს. ქუჩებს, ტროტუარებს კეთილმოწყობასა და გამწვანებას, მოაწყობენ მოედნებს, სკვერებს, დასასვენებელ ადგილებს. გამსაკუთრებით გაეფორმებენ სოფლის ცენტრს. სოფლებს შემატებენ არქიტექტურულ-მხატვრულ ელერს და ერთ ანსამბლში მოაქცევენ საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებსა და საცხოვრებელ სახლებს, გაეფორმებენ სოფლის ქუჩებსა და გზებს, გაამწვანებენ დეკორაციული ნარგავებით, ადგილობრივი ჯიშის ნაყოფის მომცემი ნარგავებს ერთმანეთთან შეზამენით.

ზ. ალუღიშვილი,

ტექნიკური მეცნიერებათა კანდიდატი.

ყურადღება — ზვრებს!

● ხშირწვიმიანობის დროს ვენახებს განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება
● გამოვიყენოთ გურჯაანელთა გამოცდილება ● არ გავავრცელოთ ჭრაქი, ნაცარი!

მაის-ივნისში საქართველოში ხშირწვიმიანობაა. წვიმამ განსაკუთრებით მეკენჯიანობის რაიონები შეაწუხა. ზომაზე მეტად წვიმს ახალთის რაიონებში. ცნობილია, რომ ხშირწვიმიანობა ხელს უშლის ვენახებში სამუშაოების აგროვადებში და წესების ზუსტად დაცვით შესრულებას. ვაზის ბორდოს სითხით წამლობის, ფურჩვნისა და ნამხრევების შეცლის და სხვა სახის სამუშაოთა დროულად შეუსრულებლობა ვაზის დაავადებების გამომწვევი მიზეზი ხდება.

ყოველივე ეს თავიდან რომ ავიცილოთ, საჭიროა ერთხელ კიდევ გულდასმით გადავხედოთ მეკენჯრების მოღწევებს, აგროწესებს, გამოვიყენოთ მოწინავეთა გამოცდილება.

ვაზის მოვლა-პატრონობის კარგი გამოცდილება აქვთ გურჯაანის რაიონის მეკენჯეებს. ხშირწვიმიანობის დროს გურჯაანელ მეკენჯეებთან კონსულტაციისა და დახმარებისათვის საქართველოს მეკენჯეობის, მებაღეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევრ ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები ჩავიდნენ. მათ მეზვრეებს კარგი და სასარგებლო რჩევა მისცეს. ნათქვამია, კარგ მრჩეველს კარგი გამგონე.

ᲧᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ — ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲬᲕᲘᲛᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲯᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲠᲬᲘᲜᲓᲜᲔᲜ. 260 ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲐᲚᲘ ᲐᲒᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘ ᲧᲝᲕᲚᲓᲦᲔᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. ᲞᲘᲠᲘᲜᲯᲘᲡ, ᲛᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲡᲐᲛᲘ, ᲛᲝᲗᲘᲗᲘ ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲜᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲠᲘᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ — 11.997 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲪᲘᲗᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔᲣᲜᲝᲒᲘᲗ ᲨᲔᲘᲬᲐᲛᲚᲐ 10.800 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ, ᲛᲔᲝᲥᲔᲜᲯᲘᲡ — 7.550 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ; ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲣᲠᲘᲗ 800-1.200 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲘ ᲕᲔᲜᲐᲮᲘ ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲔᲜ.

ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲠᲐᲝᲜᲨᲘ ᲥᲘᲜᲯᲘᲡ ᲥᲐᲪᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲚᲘᲐ. ᲤᲣᲠᲩᲕᲜᲘᲡ, ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲣᲚᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲕᲘᲠᲗᲕᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲨᲔᲣᲠᲬᲘᲜᲓᲜᲔᲜ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲘᲡᲐᲛᲘ ᲬᲐᲛᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲜᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲠᲘᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲜᲯᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲠᲬᲘᲜᲓᲜᲔᲜ. 260 ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲐᲚᲘ ᲐᲒᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘ ᲧᲝᲕᲚᲓᲦᲔᲣᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ. ᲞᲘᲠᲘᲜᲯᲘᲡ, ᲛᲝᲠᲘᲡ, ᲛᲘᲡᲐᲛᲘ, ᲛᲝᲗᲘᲗ

დიად გამარჯვებათა დროშა

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის საზეიმო სხდომა

ვარშავა. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები, რომლებიც აბორიგენებენ სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის კომპლექსურ პროგრამას, დიდ წარმატებებს აღწევენ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში., თანამშრომლობის გაფართოებასა და გაღრმავებაში. ახალი ცხოვრების შენებლობას მომზმე ქვეყნებში აცისკროვნებს დიდი ოქტომბრის ჩირაღდანი, რომელიც ციმციმებს ათწლეულის წინათ დაანთო ლენინის პარტიამ.

